ეთიკისა და დისციპლინარული კომიტეტის 2025-2027 წლების სამოქმედო გეგმა

სამოქმედო გეგმის მიზანი: ბაფის ეთიკისა და დისციპლინის სისტემის შენარჩუნება და განვითარება

კომიტეტის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს კომიტეტის დებულებით განსაზღვრულ მიზნებსა და ფუნქციებს და მიმართულია ამ ფუნქციების გამართულად შესრულებაზე.

კომიტეტის მიზანია ,,ბაფის“ წევრთა სამართალდარღვევების გამოვლენისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის შემუშავება და მისი ფუნქციები მოიცავს ,,ბაფის“ წევრი ბუღალტრების მიერ პროფესიული მოვალეობის შესასრულებლად, ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების დამკვიდრების ხელშემწყობი ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას, ,,ბაფის“ წევრებისათვის ეთიკის კოდექსის მოთხოვნების გასაცნობად და პროფესიული ქცევის დასანერგად ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელებას. კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს „ბაფის“ წევრების მიმართ გამოყენებული დისციპლინური ზომის აღრიცხვა, გამეორებითი დარღვევის იდენტიფიცირებისა და სტატისტიკის საწარმოებლად; დისციპლინური საქმის წარმოების დოკუმენტების შენახვა - დაარქივება; გასაჩივრებულ გადაწყვეტილებებზე ინფორმაციის მომზადება დავების განმხილველი საბჭოსათვის გადასაცემად და საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული ბუღალტრების მიმართ გამოყენებულ დისციპლინური ზომის შესახებ სამსახურისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება.

რამდენადაც შეუძლებელია წინასწარ განვსაზღვროთ წლის განმავლობაში ,,ბაფის“ წევრთა სამართალდარღვევების რამდენი საქმის განხილვა შეიძლება გახდეს აუცილებელი, ამიტომ ეთიკისა და დისციპლინარული კომიტეტის 2025-2027 წლების სამოქმედო გეგმა ძირითადად მოიცავს ინფორმაციას პროფესიული ეთიკისა და დისციპლინარული სისტემების შესახებ ჩასატარებელ ტრენინგებზე და კომიტეტის საქმიანობის ადმინისტრაციული ნაწილის დასახვეწ ღონისძიებებს.

#	ღონისძიება	დაწყების სავარაუდო თარიღი	დასრულების სავარაუდო თარიღი	პასუხისმგებლობა	წყარო
1.	მოქმედ კანონმდებლობაში და რეგულაციებში ეთიკის მოთხვნების დარვევასთან დაკავშირებული სანქციების სიმძიმის გადახედვა და ბაფი-ს ეთიკის პრინციპებთან და სანქციების ფორმებთან და ზომასთან შესაბამისობაში მოყვანისთვის ყველა შესაბამის ორგანოსთან (ბაფ-ის გამგეობა, SARAS, სხვა) მუშაობა	30 ივნისი 2025	2025 წლის ბოლომდე	კომიტეტის თავმჯდომარე	კომიტეტის წევრები, ბაფის გამგეობის წევრები, სხვა დაინტერესებული პირები
2.	კომიტეტის სხდომები	პერიოდულად, მინიმუმ კვარტალში ერთხელ.	პერიოდულად, მინიმუმ კვარტალში ერთხელ.	კომიტეტის თავმჯდომარე	კომიტეტის წევრები
3.	შემოსული ინფორმაციის საფუძველზე კომისიის შექმნა, მოკვლევის ჩატარება და გადაწყვეტილების მიღება	პერიოდულად, საჭიროების მიხედვით	პერიოდულად, საჭიროების მიხედვით	კომიტეტის თავმჯდომარე	კომიტეტის წევრები
4.	,,ბაფის“ წევრებისათვის წელიწადში 3 სემინარის ჩატარება ადგილობრივი სპეციალისტების				

#	ღონისძიება	დაწყების სავარაუდო თარიღი	დასრულების სავარაუდო თარიღი	პასუხისმგებლობა	წყარო
	მიერ, ეთიკის კოდექსის მოთხოვნების გასაცნობად და დისციპლინარული სისტემის შესახებ გამოცდილების გაზიარების მიზნით.	ივნისი 2025	მაისი, 2027	კომიტეტის თავმჯდომარე	ბაფის ადმინსტრაცია
5.	პროფესიული ეთიკისა და დისციპლინის თემაზე საინტერესო პროფესიული ტექსტების/სახელმძღვანელოების/მითითებების თარგმნა - წლის განმავლობაში მინიმუმ 2 მცირე ტექსტი ბაფის ჟურნალში	ივნისი 2025	მაისი, 2027	კომიტეტის თავმჯდომარე	კომიტეტის წევრები
6.	თანამშრომლობა აუდიტის ხარისხის კომიტეტთან	მუდმივად, კომიტეტის უფლებამოსილების პერიოდში	მუდმივად, კომიტეტის უფლებამოსილების პერიოდში	კომიტეტის თავმჯდომარე	კომიტეტის წევრები
7.	მუშაობა მოკვლევისა და დისციპლინარული სისტემის სრულყოფაზე. სამოქმედო გეგმა შეიძლება მომავალში გაფართოვდეს.	მუდმივად, კომიტეტის უფლებამოსილების პერიოდში	მუდმივად, კომიტეტის უფლებამოსილების პერიოდში	კომიტეტის თავმჯდომარე	კომიტეტის წევრები

ეთიკისა და დისციპლინარული კომიტეტის

თავმჯდომარე: ვახტანგ ცაბაძე